ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 295

"30" ივნისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი № 36-40-ის მიმდებარედ არსებული 47 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.14.11.016.040) 36 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ნეკაფესთვის" (საიდენტიფიკაციო №405270987) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №36-40-ის მიმდებარედ არსებული 47 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.016.040) 36 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნეკაფესთვის" (ს/ნ. 405270987) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 21 ივნისის №23.890.992 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №36-40-ის მიმდებარედ არსებული 47 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.14.11.016.040) 36 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ნეკაფესთვის" (საიდენტიფიკაციო №405270987) გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 8640 (რვა ათას ექვსას ორმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე